შეთანხმება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“ შორის 2021 წლის 10 მარტს გაფორმებულ N2 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში ცვლილების შეტანაზე

ზუგდიდი

549

1/2 2021
05 02 24
01

05.02.2024

ჩვენ, ერთის მხრივ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია (იურიდიული მისამართი: ქ. ზუგდიდ
რუსთაველის ქ. N90, საიდენტიფიკაციო კოდი 220418956), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლ
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მამუკა წოწერიას სახით (შემდგომში "პირველი მხარე") დ
მეორეს მხრივ, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ (ს/კ 202403121) წარმოდგენილი სამეგრელო-გურიი
რეგიონალური ოფისის დირექტორის ვახტანგ ბერიშვილის სახით (შემდგომში „მეორე მხარე“
საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე ვთანხმდები
შემდეგზე:

1. განხორციელდეს ცვლილება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“
შორის 2021 წლის 10 მარტს გაფორმებულ N2 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში და:

**ა) ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი
რედაქციით შემდეგი ფორმულირებით:**

„ 3.1. წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ურთიერთთანამშრომლობის გზით ზუგდიდის
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებით მძიმე სოციალურად
დაუცველი (სარეიტინგო ქულა 65 001) მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერა და
უზრუნველყოფა.“

**ბ) ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის მე-4 მუხლის 4.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი
რედაქციით შემდეგი ფორმულირებით:**

„4.1. ზემოხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
თანახმაა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში
(ქვეპროგრამის კოდი 06 02 11) დააფინანსოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
რეგისტრირებული განსაკუთრებით მძიმე სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 65 001-
ზე ნაკლები) ოჯახისათვის გაზგამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების
ღირებულება.“

2. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და
მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს.
3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად,
ორი ეგზემპლარი რჩება პირველ მხარეს, ხოლო ერთი გადაეცემა მეორე მხარეს.

„პირველი მხარე“

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი,
რუსთაველის ქუჩა N90
საიდენტიფიკაციო კოდი: 220418956

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი

..... /მამუკა წოწერია/

„მეორე მხარე“

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

ს/კ 202403121

მის.: ქ. თბილისი, 300 არაგველის N24

**სამეგრელო-გურიის რეგიონალური ოფისის
დირექტორი**

SOCAR

..... /ვახტანგ ბერიშვილი/